

თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შესახებ

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია;
2. სტრატეგიის განხორციელებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, თამარ ქაროსანიძეს;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ირაკლი ალასანია

დამტკიცებულია
საქართველოს თავდაცვის მინისტრის
20014 წლის 29 აპრილის # 544 ბრძანებით

თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია

მუხლი 1. რეგულირების სფერო

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტი (შემდგომში - „გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტი“) ადგენს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, ითვალისწინებს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე, მათ სტრუქტურულ ერთეულებზე და თავდაცვის სისტემაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე.

მუხლი 2. მიზანი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ამ მიმართულებით არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობას, კერძოდ, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნას, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციასა და აღმოფხვრას, და გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლას.

მუხლი 3. სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“, და საქართველოს პარლამენტის დადგენილებებით დამტკიცებული ეროვნული სამოქმედო გეგმების („საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014 –2016 წლების სამოქმედო გეგმის“ და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“) შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემის ჩამოყალიბებას.

მუხლი 4. გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ნაწილს, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა, მათ შორის, თავდაცვის სფეროში.

მუხლი 5. დისკრიმინაცია და მისი პრევენცია და აღმოფხვრა

1. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით, და ხორციელდება პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის ფორმით.

2. დისკრიმინაციის აღმოფხვრა მიღწევადაა თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ქალისა და მამაკაცისთვის თანასწორი შესაძლებლობების შექმნით და თანასწორი უფლებების რეალური გამოყენების საშუალებების უზრუნველყოფით.

მუხლი 6. სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა

1. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ფუნდამენტურად მიუღებელია და კანონის სრული სიმკაცრით ისჯება ნებისმიერი სახის სექსუალური ძალადობა, ჩადენილი მშვიდობიან პერიოდში თუ საომარი მოქმედებებისა და საერთაშორისო ოპერაციების დროს.

2. სექსუალური ძალადობა, კერძოდ, სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარა, მსხვერპლის უმწეობის გამოყენება, იძულებითი პროსტიტუცია, იძულებითი ორსულობა, იძულებითი სტერილიზაცია და ნებისმიერი სხვა სექსუალური სახის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება მსხვერპლის ნებას ან/და შეიძლება ზიანი მიაყენოს მას ფიზიკურად, მორალურად ან ფსიქოლოგიურად, წარმოადგენს მიუღებელ და დასჯად ქმედებას როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სამართლით.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტში აღწერილი ქმედებების ჩადენა საომარი მოქმედებების დროს კლასიფიცირდება როგორც დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

მუხლი 7. გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად თავდაცვის სისტემაში განსახორციელებელი ქმედებები

1. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ქალთა არსებული მდგომარეობის კვლევა, შეფასება და შესაბამისი ანალიზის განხორციელება. ამ მიზნით:

ა) თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, უზრუნველყოფს შესაბამისი კითხვარის მომზადებას, კვლევის ჩატარებას, შედეგების ანალიზს, შესაძლო ხარვეზების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.

2. თავდაცვის სისტემაში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია განათლების შესაბამისი დონის შექმნა, კერძოდ, ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების შესახებ. აღნიშნულის მიზნით:

ა) თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები და ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის №1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების შესახებ საგანმანათლებლო მოდულების შექმნას, სასწავლო მასალის მომზადებას და საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი კურსების ორგანიზებას;

ბ) თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი და J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი, დაინტერესებულ საერთაშორისო და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, უზრუნველყოფენ საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების შესახებ შესაბამისი ტრენინგების მომზადებას და ჩატარებას;

გ) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა სამშვიდობო ოპერაციებში გასაგზავნი კონტიგენტის მომზადების დროს უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების შესახებ შესაბამისი სწავლებების დაგეგმვას და განხორციელებას.

3. ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართული საზოგადოებაში და მათი ჩართულობა ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორცაა ქვეყნის თავდაცვა წარმოადგენს, დემოკრატიული და თანამედროვე, ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული შეიარაღებული ძალების მშენებლობისათვის აუცილებელი წინაპირობაა. აღნიშნულის განსახორციელებლად:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტი, შესაბამისი საინფორმაციო კამპანიების წარმოების დროს, უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტროს სიტემაში ქალთა ჩართულობის წინა პლანზე წამოწევას;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფები ხელს შეუწყობენ ქალთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში თავდაცვის სისტემაში შექმნილ სათათბირო ორგანოებში, კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში მათი ჩართვის გზით;

გ) სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი და ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა, შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში, გაითვალისწინებენ ქალთა სპეციალურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს;

დ) თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი, J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი და ადამიანური რესურსების მართვის განმახორციელებელი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, სამხედრო სპეციფიკისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, ხელს შეუწყობენ ქალთა დასაქმებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

4. გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ფასეულობების მატარებელი თავდაცვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია ამ პრინციპებისა და ფასეულობების დაცვაზე პასუხისმგებელი რგოლის განსაზღვრა და მისი შესაბამისად მომზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფები და სამხედრო ქვედანაყოფები სარდლობების, ბრიგადებისა და ბატალიონების დონეზე უზრუნველყოფენ იმ სამოქალაქო და სამხედრო პირთა გადამზადებას, რომლებიც გენდერული მრჩევლის ფუნქციებს შეითავსებენ, შესაბამის ხელმძღვანელებს გაუწევენ

კონსულტაციებს გენდერულ და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325 და მის თანმდევ რეზოლუციებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ბ) თავდაცვის სამინისტროში შეიქმნება მუდმივმოქმედი მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ამ სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას და თავდაცვის სისტემაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების დაფიქსირების შემთხვევაში, მოახდენს მათზე სათანადოდ რეაგირებას, შეისწავლის გამოვლენილი დისკრიმინაციის მიზეზებსა და შედეგებს და მოამზადებს რეკომენდაციების მსგავსი შემთხვევების განმეორების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 8. არსებული ვალდებულებების შესრულება

თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სტრუქტურული ერთეულები და თავდაცვის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტის, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული ეროვნული სამოქმედო გეგმების („საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014 –2016 წლების სამოქმედო გეგმის“ და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“) თანახმად, უზრუნველყოფენ მათ გამგებლობას მიკუთვნებული ვალდებულებების სრულ განხორციელებას.